



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაბუნია ანდრია ალექსის ძე

გაბუნია ანდრია ალექსის ძე [5 (18). VII. 1907, ფოთი,-31. I. 1969, თბილისი], ჰიდროტექნიკოსი, კოლხეთის ჭაობის ამოწრობის პიონერი. 1932 დაამთავრა საქართვე. პოლიტექ. ინ-ტი. 1934-38 მუშაობდა „კოლხეთმშენში“ მთ. ინჟინრად, 1939-40-საქართვე. მინათმოქმედების სახ. კომისარიატის წყალთა მეურნ. სამმართველოში მთავარ ინჟინრად. 1941-43 იყო წყალთა მეურნეობის სახ. კომისრის მოადგილე. 1943-45 - ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავ-რე, 1945-49 - „კოლხეთმშენის“ უფროსი. 1949-56 - სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის უფროსი (ამასთან ერთად ხელმძღვანელობდა თბილ. წყალსაცავის „თბილისის ზღვის“ მშენებლობას). 1956-იდან გარდაცვალებამდე - საქართვე. მელიორაციისა და წყალთა მეურნ. მინისტრის მოადგილე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. ფოთის ერთ-ერთი ქუჩა გ-ს სახელობისაა.
